# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 93 ოთხშაბათი, 29 აპრილი 1909 წ. № 93

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება რედაქტორთან ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ხუთშაბათს, 30 აპრილს,

**ვასილ ალექსანდრეს ძის სულხანიშვილის**

გარდაცვალების მეცხრე დღეს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავებსა და ნაცნობთ დედა განსვენებულისა **ნინო გრიგოლის ასული**, მეუღლე **ანნა იოსების ასული, ძმა და დები**. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1—231—1)

**კვირას 3 მაისს მუშტაიდის ბაღში**

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

**დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია**

ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანია

ლატარიაში, სხვათა შორის, ჩაგდებულია: საგარაკო მიწა სადგურ სურამთან 300 ოთხ. საჟ., ძვირფასი მხატვრული შარაფ (შემოწ. კნ. ელის. მუხრან-ბატონისა), სრული სერვიზი ფაიფურისა (შემ. კნ. იულია თუმანიშვილისა), ძროხა, ვერცხლის ნივთები და სხვ.

**დილით** 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის გაიმართება

**განსაკუთრებული სეირნობა გავშვებისათვის**

მრავალის სხვა და სხვა გასართობით: კარუსელი.—სირბილი.—ბურთაობა.—ნიშანში სროლა.—ბოძზე აცოცება.—გადახტომა.—გაჯიბრება საჩუქრებით.—საჩუქარი საუკეთესო ეროვნულ ტანისამოსისთვის მუსიკა.

**საღამოს** 4 საათიდან 11 საათამდის

**დიდი სეირნობა და ლატარია**

დოლი. მკითხაობა. ფოსტა.—კონფეტტი.—ყვავილების ბრძოლა.—პროექტორი გარეთ ეკრანზე.

ორი ორკესტრი სამხედრო მუსიკისა.—საზანდარი.—მესტვირე.

ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ბავშვებისთვის 10 კაპ. ლატარიის ბილეთი 50 კაპ. (0—უ.—2)

**ამხ. „სორაპანის“ გამოცემა**

ქართველი და უცხოელი მწერლები

**„ახალი ჩანგი“**

„სცენები. ლექსები, სასიმღერო კუპლეტები, რომანსები და დრამატიული ნაწარმოებნი საუკეთესო მწერლების ა“.

მიიღება ხელის მოწერა ტფილისში: წიგნის მაღაზია წერა-კითხვის საზოგადოებისა, „რეჩის“ კიკნაძისა საზაფხულო თეატრის პირდაპირ. „ალიონისა“ კიროჩნი ქუჩაზე. პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტთან.

**ხელის მოწერა დაიწყება 30 აპრილს და გათავდება 20 მაისს**—შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. **ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება (200 გვ.) 25 კაპ.** წიგნი ცერძოდ გასასყიდად არ გამოვა. გამოწერა წიგნისა შეიძლება მარკებითაც, გაგზავნიანა ეღირება 37 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“, М. Гачечиладзе.

**დაბეჭდილი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერთ 20 ივნის.** (10—6.—1)

**არტისტიულ საზოგადოების თეატრი** წარმოდგენა № 15

პარასკევს, 1 მაისს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ორი ოპერეტი

**ტასო აბაშიძის საბენეფისოდ**

**რაინდი უშიშარი და გულმართალი**

ოპერეტი 2 მოქმ. მუზ. ლეკოკისა თარგ. ვ. აბაშიძისა,

**ნ-ა-ტ-ვ-რ-ი-ს თ-ვ-ა-ლ-ი**

(Mascotte).

ოპერეტი კომ. 3 მოქმედ. მუზ. ედუარდ ოდრონისა თარ. აზნაზაროვისა.

მონაწილ. მიიღებს მთელი დასი **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

დირიჟორი **პოლ. ფალიაშვილი.**

**მიიღება ხელის მოწერა დუტუ მეგრელის ნაწერებზე**

**ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ აპრილსა და აგრეთვე მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (12—უ.—8)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჟალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 51)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—134)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—65)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—115)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—111)

**მაღაზია იკეტება 1 მაისს.**

**ისარგებლეთ შემთხვევით!**

საოცარი იაფი ფასები

**მხოლოდ 2 დღეს**

**29 და 30 აპრილს.**

ვაჭრობის მოსპობისა გამო.

**ძმ. ა. და ი. ალშვანგების მაღაზიაში**

გოლოვინის პროსპექტზე,

აბრეშუმის, ბატისტის ხალათებს, პენუარებს, მატინეს, ბავშვის ტანისამოსს, სალოფებს, კაპორებს, ქამრებს. **უკვე დაკლებულ ფასზე კიდევ დააკლდება.**

**25%.**

ყველა დანარჩენ საქონელს, მაგალითად—კაცის, ქალის და ბავშვის საცვალს, ტილოს, სუფრეულს, ჩულქებს, წინდებს და სხვებს.

**უკვე დაკლებულ ფასზე დააკლდება კიდევ 15%.** (4—6.—3)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—48)

**ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია**

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები 1 კლასში მოსამზადებელ კლასის მოწაფეთათვის და აგრეთვე გარეშე მსურველთათვის მოხდება ამა წლის 19, 20 და 23 მაისს, ხოლო გამოცდა მინ მომზადებულებისა, რომელთაც სურთ ამა თუ იმ კურსის ეგზამენი დაიჭირონ მოწმობების მისაღებად, მოხდება 15—31 მაისს. თხოვნები პირველ კლასში ეგზამენის დასაჭერად მიიღება 12 მაისამდე თხოვნასთან ერთად უნდა იყოს დაწესებული დოკუმენტები და ერთი ფოტოგრაფიული სურათი, შემოწმებული პოლიციის მიერ. თხოვნა უდოკუმენტებოდ და უსურათოდ უყურადღებოდ იქნება დატოვებული. (3—6.—2)

**3 მაისს** ნაშუადღევის 1 საათზე, დაბა ბელაგორში **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** (ტორგი) **ბელაგორის ორ კლასიან შენობის ასაგებად.**

შენობა ორ სართულიანი იქნება, ძირს კედლები ქვის, მეორე სართული ხისა. დაწვრილებით პირობის გაგება და გეგმის ნახვა შეიძლება ყოველ დღე ბელაგორში, ბელაგორის ორ კლასიან სამინისტრო სკოლის ზედამხედველთან.

საჯარო ვაჭრობა იქნება დახურული—ესე იგი დაბეჭდილი კონვერტით. იჯარის ღირებულობის 10% წარმოდგენილი უნდა იქნას მოიჯარადრის მიერ საქმის უზრუნველ საყოფად დახურულ კონვერტითვე.

მზრუნველი **ქუჩა დეკანოზიძე.** (1—230—1)

**ხუთშაბათს, 30 აპრილს,**

საღამოს 7 საათზე სამკურნალო საზოგადოების სადგომში, გიორგიევის ქუჩაზე, № 4, ალექსანდრეს ბაღში,

**ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე**

წაიკითხავს ლექციას

**ჭლექის შესახებ,**

ბუნდოვანი სურათებით.

ფასი: 50 კ. 30 კ. და 20 კ.

შემოსავალი დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების პირველ სამკითხველოს სასარგებლოდ. (უ. 3—2)

**ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზია**

(რიონ-გაღმის ნაწილი, მესხეთის ქუჩა),

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, 1, 2, 3 და მეოთხე კლასებში და ეგზამენები მოწმობების მისაღებად დაიწყება ამა წლის 15 აპრილს,

ეგზამენების დაწვრილებით განაწილება გამოკრულია გიმნაზიაში. (3—6.—2)


## ტფილისი, 29 აპრილი

კიდევ ერთი თვე და სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა შესწყდება 4—5 თვით, დასრულდება მესამე სათათბიროს მეორე წლის საზაფხულო სესსია. ამ ერთი თვის მუშაობის პროგრამა თითქმის გამორკვეულია. სათათბიროს ჯერ ბიუჯეტი აქვს დასამთავრებელი, სახელდობრ—შემოსავლის ნაწილი, რომლისთვისაც ჯერ ხელი არ უხლია. მართალია, ამ ნაწილს ბევრ დროს არ მოანდომებს, ორ-სამ სხდომაზე მორჩება; მაგრამ, სამაგიეროდ, აუარებელი წვრილი კანონ-პროექტი აქვს დასამტკიცებელი და დარჩენილ სხდომების ნახევარს ამ საქმეს მოახმარებს. ასე რომ ეგრედ წოდებულ მთავარ კანონ-პროექტებისათვის სულ 10—15 სხდომა-ღა დარჩება.

რომელია ეს მთავარი კანონ-პროექტები, რომელსაც მესამე სათათბირო გვპირდება სესსიის დასრულებამდე? როგორც გამოირკვა ამას წინად ფრაქციების წარმომადგენელთა კრებაზე, კომისიებს დამზადებული ჰქონიათ პროექტები: ადგილობრივ სასამართლოსი, პიროვნების ხელუხლებლობისა, ერთ საქრისტიანო სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლისა, ნოქართა და ხელოსანთა დასვენებისა და ორიოდე სხვა უფრო უმნიშვნელო. იმავ სხდომაზე გამოირკვა, რომ ადგილობრივ სასამართლოს პროექტი იმდენად რთული და დიდია, რომ მისი განხილვის დამთავრება ზაფხულამდე ყოვლად შეუძლებელია. თუ ეს კანონ-პროექტიც გამოვრიცხეთ, მაშინ ხელში დაგვრჩება ორი თუ სამი კანონ-პროექტი, რომელსაც გვიწყალობებს „შრომის უნარიანი“ სათათბირო.

თუ გავიხსენეთ, რომ მთელი მეორე წლის განმავლობაში სათათბიროს მხოლოდ ერთი მთავარი კანონ-პროექტი განიხილა—9 ნოემბრის აგრარული კანონი, ისიც ისეთი, რომელიც უკვე გატარებულია ცხოვრებაში და მესამე წელიწადია მოქმედებს,—ჩვენ დავინახავთ სრულს უნაყოფობას მესამე სათათბიროსას კანონ-მდებლობის მხრით. მესამე სათათბიროს მუშაობის პოლიტიკურს ნაყოფზე არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი და გვექნება კიდევ სესსიის დამთავრებისას, როცა პრესა შეუდგება ამ შედეგების დაფასებას; მაგრამ კანონმდებლობის მხრით სათათბიროს საქმე გამორკვეულია ახლაც და, როგორც ვხედავთ, აქტივი მისი ერთობ მცირეა. ამ სათათბიროს ხელმძღვანელს უმრავლესობას სწორედ ამით მოჰქონდა თავი, იგი სწორედ ამ მხრით უპირისპირებდა მესამე სათათბიროს ორ წინანდელს. სათათბიროში ორგანიულის მუშაობით ჩვენ ორი-სამი წლის განმავლობაში შევქნით ისეთ ახალ კანონებსაო, რომელთა მეოხებითაც უზრუნველყოფილი იქნება რუსეთის განახლებაო. განსვენებული პლევაკო მოსკოვში უხსნიდა ამომრჩეველთ—რატომ დამარცხდნენ პირველი და მეორე სათათბიროები და რა გზით გაიმარჯვებს მესამეო: ისინი დეკლარაციებით ჰფიქრობდნენ ახალის რეჟიმის დამყარებას, ჩვენ კი წყნარის, წესიერის საკანონმდებლო მუშაობით ორ-სამ წელიწადში დედა-ბუდიანათ შევცვლით რუსეთის უფლებრივ მდგომარეობასაო. შრომის უნარზე ყვირილითა და ტრაბახით ხომ მთელ ქვეყანას ყური გამოუჭედეს... მაგრამ, აი ორი წელიწადიც სრულდება და მესამე სათათბიროსაგან არა-თუ მთელი წყება განმანახლებელ კანონებისა არ უხილავს ქვეყანას, არც ერთი მთავარის მნიშვნელობის კანონპროექტიც არ მიუღია.

საკანონმდებლო მუშაობის ნაყოფიერად წარმართვისათვის ხელმძღვანელმა პარტიამ თავის გონებაში შესანიშნავ ხერხს მიჰმართა: პროგრესიულ ნაწილს ზურგი შეუბრუნა და ხელი გაუწოდა მემარჯვენეთ. პირველნი ისედაც დაუჭერენ მხარს ლიბერალურ კანონებსაო, ჩვენ-კი მემარჯვენეთ დაუკავშირდებით, მათ გადმოვიბირებთ და ნელ-ნელა შევაჩვევთ იმ აზრს, რომ წესწყობილების განახლება მშვიდობიანის გზით საჭირო და აუცილებელი არისო. როგორ გასჭრა ამ ხერხმა, ამას ეხლა მშვენიერად ტყობილობენ ოქტომბრისტები. მემარჯვენეთა გავლენა და ძალა თანდათან იზრდება, ხოლო იმ პარტიის მნიშვნელობა, რომელიც მათ გადმობირებას აპირებდა, თანდათან ეცემა. სწორედ მემარჯვენეთა მეოხებით გამოდგა უნაყოფო მესამე სათათბიროს საკონონმდებლო მუშაობა, რადგან ოქტომბრისტები იძულებულნი იყვნენ ცენტრის დასაცავად მხოლოდ ის კანონპროექტები წამოეყენებინათ წინ, რომელთაც მათი მოკავშირენი მოისურვებდნენ. ოქტომბრისტების ტაქტიკა დამარცხდა; შედეგი ამ ტაქტიკისა სრული გაკოტრებაა. რაც თითონვე ალიარეს უკანასკნელ დღეებში გამოცემულ დეკლარაციით. 17 ოქტომბრის კავშირის ცენტრალური კომიტეტი დიდათა ჰგმობს მემარჯვენეთა მოქმედებას; მაგრამ, დეკლარაცია უზომო სასოწარკვეთილებითაა გაჟღენთილი და მისი ავტორნი კარგად გრძნობენ, რომ მათ პროტესტისა და დაგმობისაგან არაფერი არ გამოვა: მემარჯვენე ბანაკი „გონს არ მოვა“, ოქტომბრისტების გაფრთხილებას ყურს არ ათხოვებს და თავის იერიშს განაგრძობს. სადამდის ქმივა ეს იერიში, გაჰბედავენ თუ არა უკიდურესი რეაქციონერები საკანონმდებლო სახალხო წარმომადგენლების სრულს დაღუპვასა და რჩევითი სახალხო წარმომადგენლების შექმნას,—ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ ოქტომბრისტებსა და მათ სულის-ჩამდგმელ სტოლიპინს რომ ძირს გაუთხრიან—ეს ცხადია. ოქტომბრისტებმა და სტოლიპინმა თვითონ, თავიანთივე ხელით, გალესეს ის დანა, რომლითაც ყელი უნდა გამოიჭრან. რა-კი თავის დროზე მავრი არ გაისტუმრეს და მოხერხებულის ზომებით მისი გავლენა შეჰქმნეს, ეხლა აუცილებლად უნდა იგემონ მავრის თავხედობა...

სათათბიროს მუშაობის მეორე წელიწადის უკანასკნელი დღეები წინანდელ სესიებზე უფრო ნათლად ამჟღავნებენ მესამე სათათბიროს და მის ხელმძღვანელთა სრულს უძლურებას. რუსეთი სამი წლის საკონსტიტუციო ცხოვრების შემდეგ უცვლელი რჩება და 17 ოქტომბრის პარტიის მოღვაწეობამ ქვეყანას სრულიად დაუკარგა იმედი, ვითომ სათათბირო ამ მანიფესტის განხორციელებას შესძლებს. შედეგი მართლადა საზარელია და ადვილად გასაგებიცაა ის სასოწარკვეთილება, რომლითაც გაჟღენთილია პარტიის უკანასკნელი დეკლარაცია...

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აპრილი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** მაჰმადის ხმლის შემორტყმა, ცერემონიალის თანახმად, ასე უნდა მოხდეს: დილის 11½ საათზე სულთანი დოლმა-ბახჩეს სასახლიდან გემით გაემგზავრება ეიუბის ნავთსადგურისაკენ. სულთანს თან ახლდებიან გემები. ნავთსადგურიდან სულთანი ფეხით წავა ეიუბის მეჩეთში. აქ დაუხვდებიან მინისტრები, გენერლები, სამხედრო და სამოქალაქო უწყების დიდი მოხელენი, პალატის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები, მდივნები და პა-

ლატის და სენატის დეპუტატები. მაჰმედის ხმლის შემორტყმა ეიუბის მეჩეთის მავზოლეოში მოხდება და დაიწყება ყორანის ერთი თავის კითხვით. ყორანი სამმა იმამმა უნდა წაიკითხოს. ყორანის წაკითხვის შემდეგ მავზოლეოდან ყველანი გამოვლენ და სულთანი ნამასს გააკეთებს. ამის შემდეგ სულთანი ვავა მეჩეთის ეზოში, სადაც მიულოცავენ უმაღლესი პირები. მილოცვის შემდეგ სულთანი ჩაჯდება ღია ეტლში და ადრიანოპოლის კარით წავა ჯერ ფატიხის მავზოლეოში, შემდეგ სტამბულის ქუჩებით ძველ სერალში; აქედან ზღვით დოლმა-ბახჩეს სასახლეში. მაჰმედის ხმლის შემორტყმის შემდეგ, სახლში დაბრუნებისას, სულთანს გაჰყვებიან: ცხენოსანი ჟანდარმები, კავალერიის ორი ესკადრონი, ულემები, სამღვდელოება, სამოქალაქო მოხელენი, პალატისა და სენატის დეპუტაციები, მინისტრები, ულანთა ესკადრონი, ცერემონ-მეისტრები ცხენებით, პოლიციის მინისტრი, გენერალისიმუსი თავის შტაბით, სულთნის შვილები, პრინცები, სასახლის მოხელენი, სამხედრო სკოლების მოსწავლენი და კავალერიის ერთი ესკადრონი. დიპლომატები შეიკრიბებიან ადრიანოპოლის კარებთან. აქვე მიულოცავს ქალაქის საბჭო.

**სტამბოლი.** ნაშუადღევის 3 საათზე გათავდა მაჰმადის ხმლის შემორტყმის ცერემონიალი. სულთანი დოლმა-ბახჩეს სასახლეში მოვიდა. სულთანს მოჰყვნენ გენერალისიმუსი, მისი შტაბი ცხენებით, დანარჩენი წარჩინებულნი ეტლებით მისდევდნენ. სულთანს ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. ოვაციები გაუმართეს პალატის პრეზიდენტს, პირველ კორპუსის უფროსს მუხტარ-ფაშას და მაიორ ნიაზი-ბეის. დიდის აღტაცებით მიეგება ხალხი ნიაზი-ბეის. სულთნის ეტლში იჯდა გაზი-მუხტარ ფაშა. ის ქუჩები, რომლითაც სულთანმა გაიარა, მორთული იყო ბაირაღებით და გამართული იყო რამდენიმე თაღი. ქუჩები სავსე იყო ხალხით. ადრიანოპოლის კართან ელჩებისთვის გამართეს კარვები და ბუფეტი. საღამოთი ქალაქს გააჩირაღდნებენ.

**სალონიკი.** საღამოს გემით კიდევ მოიყვანეს სტამბოლის გარნიზონის 1700 სალდათი. ეს კორპუსი რევოლიუციის წინააღმდეგ ამხედრდა. ამავე გემით მოვიდა აბდულ-ჰამიდის მცველების უფროსი ფერმი-ბეი, რომელმაც ყოფილ სულთნის ფულის ყუთების გასაღებები წაიღო.

### სპარსეთი

**რუსის ჯარის ბანაკი** (თავრიზთან). 25 აპრილს რუსის ჯარის უფროსს გენერალ სნარსკის, მისის თანხმობით, წარუდგა სათარ-ხანი. სათარ-ხანს თან ახლდა ასი ფიდაი. აჯიჩაის საბაჟოსთან ფიდაები, რუსებმა შეაჩერეს და გაუშვეს მარტო სათარხანი უიარაღო. თან გააყოლეს რუსის საკონსულოს თარჯიმანი, რუსის ვაჭრების მამასახლისი და რამდენიმე უიარაღო ფიდაი. სათარ-ხანი ეტლით შევიდა რუსის ბანაკში. ბანაკის წინ ეტლი შეაჩერეს ყარაულმა სალდათებმა და გაუშვეს მაშინ, როცა მორიგი აფიცრის ნება-რთვა მოვიდა. ბანაკში მისვლისას სათარ-ხანი თარჯიმანმა გენერალ სნარსკის წარუდგინა. სალამის შემდეგ სათარ-ხანმა სიხარული გამოსთქვა თავრიზში რუსის ჯარის მოსვლის გამო, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ღარიბ მცხოვრებთაო. კონსტიტუციის შესახებ სათარ-ხანმა სთქვა, ჩვენ გვახარებს კონსტიტუცია მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ვიცით, რა გვარი კონსტიტუცია იქნება შემოღებული, ამიტომ ნდობით ვერ მოვეკიდებითო. გენერალ სნარსკისთან საუბარმა ორმოც წუთს გასტანა. საუბარი თარჯიმნის შემწეობით იყო. სხვათა შორის სათარ-ხანმა რუსის აფიცრების ნახვის სურვილი გამოსთქვა. გენერალმა განუცხადა, აფიცრების ნახვა ყველას შეუძლიათ მაშინ, როდესაც ჯარს ქალაქზე გავლის შემთხვევა მიეცემაო. სათარ-ხანს ჩაით გაუმასპინძლდნენ, შემდეგ იგი გამოეთხოვა სნარსკის და წავიდა. რუსის ჯარში მშვიდობიანობა. მოვიდა მღვდელი.

**თეირანი.** ახალ კაბინეტის შედგენასთან ერთად შაჰმა ხალხს მიმართა ორი მოწოდებით. ერთ მოწოდებაში ნათქვამია, ხალხს კონსტიტუციას ვუბრუნებო, ხოლო მეორეში პოლიტიკური ამნისტიაა გამოცხადებული. შაჰმა თავრიზის ჯარის უფროსს ბრძანება გაუგზავნა, ჯარი სახლში დაბრუნდესო.

**ურმია.** (ჯულფამდის ფოსტით) პირველი აპრილი. სალმასიდან იტყობინებიან: სიმკომ ხოისა და სალმას შორის ყოველივე მიმოსვლა შესწყვიტა, დაეცა სოფელ სარნას და წაასხა იქიდან საქონელი; მერე თავს დაეცა სოფ. პერას, მაგრამ აქ წინააღმდეგობა გაუწიეს და უკან დაიხია ხოისა და სალმას შორის ტელეგრაფი მუშაობს.

**თეირანი.** სახელმწიფო საბჭოს ნაბრძანები აქვს, შეიმუშაოს საარჩევნო კანონი, რის შემდეგაც დეპუტატების არჩევნებს შეუდგებიან. მეჯლისი შეიკრიბება ბეჰარისტანის სასახლეში, როდესაც თეირანში თავს მოიყრის დეპუტატთა ორი მესამედი.

### საზღვარ-გარედ

**ალლაგაბადია.** ბელუჯისტანში, მირა-დიკხელის მახლობლად, ინგლისელ აფიცრის უფროსობით 40 ადგილობრივი ცხენოსანი თავს დაესხა 70 ადგილობრივ მცხოვრებს. თავდამსხმელებმა მოჰკლეს ერთი კაცი, ერთიც დასჭრეს. თავდამსხმელებმა ორი კაცი დაუჭრეს.

**ზაგრები.** ხორვატიის ბანმა, ბარონმა რაუხმა ბრძანება გასცა, რომლითაც აიკრძალა საშუალო სასწავლებლებში კირილიცას (სლავიანური ან-ბანი) სწავლება.

**გენუა.** სოფ. სანევსებიოში ასაფეთქებელ მასალათა ქარხანაში ორი აფეთქება მოხდა. ქარხანა სულ დანგრეულია. ჯერ-ჯერობით ნანგრევებიდან 10 მუშის გვამი ამოიღეს. დანგრეულ ქარხანას სთხრიან.

**პარიზი.** ელისეის სასახლეში მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა. ხვალ მთავრობა დეპუტატთა პალატას მოსთხოვს, სწრაფად განიხილოს მთავრობის წინადადება, რომ ფოსტა-ტელეგრაფის ზოგიერთი მოხელენი დათხოვნილ იქმნენ მთავრობა გამომძიებელ კომისიის წინააღმდეგია. ამას გარდა მთავრობა დეპუტატთა პალატას შეეკითხება, ნდობას უცხადებს თუ არა მთავრობას. ფოსტის მოხელეების სინდიკატის საქმეს მთავრობა სასამართლოს გადასცემს.

### რუსეთი

**ზენკოვი.** ანდრიაშენკაში შეიპყრეს ავაზაკთა ბრბო, რომელმაც შემოდგომაზე ზიკოვცევის მახლობლად ამოსწყვიტა სალიას მთელი ოჯახობა, ათი სულისგან შემდგარი.

**კრონშტადტი.** რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემი „ნეპტუნი“ დაეჯახა ბელგიის გემს და ჩაიძირა ზღვაში 26 აპრილს ზღვის კანდელის ნერვის მახლობლად. გემზე მოსამსახურენი გადაარჩინეს. ზარალი მილიონამდეა.

**მოსკოვი.** გოგოლის დღესასწაულების მეორე დღე დაიწყო მოწაფეთათვის სადღესასწაულო წარმოდგენებით დიდსა და პატარა თეატრებში. გაიმეორეს „მაისის საღამო“ და „რევიზორი“. გოგოლის სახელობის პირველდაწყებით სკოლებში სალიტერატურო დილები გამართეს. შუადღისას კონსერვატორიის დიდს დარბაზში მოხდა რუსულ სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების სადღესასწაულო სხდომა. დაესწრნენ უცხოელი სტუმრები, პროფესორები, დიდძალი საზოგადოება და დეპუტაციები. წაიკითხეს მილოცვები რუსეთისა და საზღვარგარეთის დაწესებულებათაგან. გოგოლის ძეგლის წინ ხალხი მთელს დღეს არ გამოლეულა.

ღამის სამს საათზე დიდ თეატრის სამანქანო განყოფილებაში ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ მეხანძრეებმა ცეცხლი მალე გააქრეს. დაზარალდა სახურავი, შიგნით არაფერი გაფუჭებულა.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**დეპუტატების კოლიუბაკინისა და კოსოროტოვის გამორიცხვა.**

27 აპრილის სხდომაზე სათათბირომ განიხილა კოლიუბაკინისა და კოსოროტოვის გამორიცხვის საქმე. როგორც ვიცით, ეს დეპუტატები მთავრობამ სიტყვების წარმოთქმისთვის სამართალში მისცა. სასამართლომ ორივე დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა დაპატიმრება, პირველს — 6 თვით, მეორეს — 11 თვით. ეხლა მთავრობამ მოსთხოვა სათათბიროს მათი გამორიცხვა დეპუტატობიდან. ამ საქმემ, განსაკუთრებით კოლიუბაკინის შესახებ, თავის დროზე დიდი კამათი გამოიწვია. ყველანი ერთხმად ამბობდნენ, რომ მთავრობა სათათბიროს სწმენდავსო. მართლაც, არც კოლიუბაკინს და არც კოსოროტოვს თავიანთ სიტყვებში ისეთი არაფერი უთქვამთ, რომ დასჯისა და დათხოვნის ღირსნი ყოფილიყვნენ.

ჯერ სათათბირომ კოლიუბაკინის საქმე განიხილა. მომხსენებლად იყო მემარცხენე ოქტომბრისტი მეიენდორფი, რომელმაც შეუძლებლად და უსამართლოდ სცნო კოლიუბაკინის დათხოვნა. სიტყვა წარმოსთქვა 15-მდე ორატორმა: თითონ კოლიუბაკინმა, კადეტებმა პერგამენტმა, როდიჩევმა, აჯემოვმა, ოქტომბრისტებმა შუბინსკიმ, კაპუსტინმა, სოც.-დემოკრატმა გეგეჭკორმა, ტრუდოვიკმა ბულატმა, მემარჯვენეებმა პურიშკევიჩმა, ზამისლოვსკიმ, იუსტიციის მინისტრმა და სხვამ. მემარჯვენეებმა, რასაკვირველია, მხარი დაუჭირეს მთავრობას—კოლიუბაკინი დაუყოვნებლივ უნდა დავითხოვოთო. პურიშკევიჩმა მემარჯვენეების განცხადებაც კი წაიკითხა, სათათბიროს უფლება არა აქვს სასამართლოს განაჩენის განხილვაში შევიდესო. კადეტები და დანარჩენი მემარცხენენი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგნი იყვნენ კოლიუბაკინის დათხოვნისა. ამავე აზრისა იყვნენ პროგრესისტები, ხოლო ოქტომბრისტები ორად გაიყვნენ: მემარცხენე ოქტომბრისტები, მაგალითად მეიენდორფი და კაპუსტინი, წინააღმდეგნი იყვნენ დეპუტატის გამორიცხვისა, ხოლო მემარჯვენენი— მომხრენი. შუბინსკიმ პირდაპირ სთქვა, კოლიუბაკინი უნდა დავითხოვოთ, რადგან სასამართლოს განაჩენი შეურყეველიაო.

კამათი გაიმართა იმაზედაც, დახურული და ღია კენჭის ყრით გადასწყდეს საქმეო.

მემარჯვენენი ღია კენჭის ყრას თხოულობენ, მემარცხენენი—დახურულს. ბოლოს დახურულის კენჭის ყრით გადასწყვიტეს (192 ხმით 143 ხმის წინააღმდეგ), კოლიუბაკინი გამორიცხულ იქნას სათათბიროდან.

კოსოროტოვზე ბევრი აღარ ულაპარაკნიათ. ამ დეპუტატს მხოლოდ ოპოზიცია უჭერდა მხარს. ილაპარაკეს ს.-დემოკრატებმა კუზნეცოვმა, ზახაროვმა, გეგეჭკორმა, როდიჩევმა და სხვებმა. მემარჯვენეებს ერთი ყვირილი და ერთი განგაში გაჰქონდათ. მათი უმეცრება იქამდე მივიდა, რომ თავმჯდომარე იძულებული გახდა, ერთი მემარჯვენე, შეჩკოვი, ერთი დღით სათათბიროდან დაეთხოვა, მაგრამ მემარჯვენეთათვის, რომ არ ეწყენინებინა, მემარცხენე ორატორს სულ უმიზეზოდ სიტყვის თქმა აუკრძალა.

დახურულის კენჭის ყრით (201 ხმით 91 ხმის წინააღმდეგ) სათათბირომ კოსოროტოვიც გამორიცხა სათათბიროდან.

ამავე დღეს მოხდა სახელმწიფო საბჭოს სხდომა. წაიკითხეს ის კანონ-პროექტები, რომელიც სათათბირომ და საბჭომ მიიღო და რომელიც ხელმწიფეს წარედგინა დასამტკიცებლად. ხელმწიფემ დაამტკიცა კანონ-პროექტები ერთის გარდა— საზღვაო საგენერალო შტაბის შტატების დაწესებისა და ამ შტაბისათვის ფულის გადადების შესახებ. ამ კანონ-პროექტზე ხელმწიფეს მოუწერია—„არ ვამტკიცებო“.

## ქართული თეატრი

### აი რაშია ხსნა.

> ინტელიგენტობა, ცხად მხილველობის ნიჭი, სიმართლე და სიმარტივე.—აი პრინციპიალური პირობები, ურომლისოდაც მსახიობი არაფერია, უფრო მეტიც—მაიმუნია.
>
> სტ. პშიბისევსკი.

იყო დრო, როდესაც საზოგადოებას ქართული თეატრი უმთავრეს გასართობ საკრებულოდ მიაჩნდა. არ ესმოდა თეატრის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და მხოლოდ სიცილ-ხარხარისათვის მიდიოდა იქ.

დღეს ცხოვრებამ ფერი იცვალა, გავიდა ხანი და დრო და ეხლა თეატრი ყველასაგან პროგრესის კათედრადაა მიჩნეული. ისტორიის ცვამა ხელმა სასიკვდილოდ გასწირა, ძუგო წესი და საუკუნოდ განასვენა წიაღსა შინა მიძინებისასა ძველი დრო. აბობოქრებულმა ცხოვრების ჩარხმა თვალ-მოუკრავად დაიწყო ბრუნვა, ბნელის წყვდიადიდან პროგრესმა ჩირაღდნებით შუქ-მოფენილ ასპარეზისაკენ მოიტაცა ადამიანი, აქ დამწიფდა მისი გონება, მან იცნო თავისი თავი და უფრო ფხიზლად უფრო თავისუფლად, ფართო გონებით შეხვდა ცხოვრებაში ყოველივეს და, რასაკვირველია, არც ხელოვნების პანთეონი დასტოვა უყურადღებოდ.

და აი, მაშინ, როდესაც ადამიანი შეუჩერებლად მიილტოდა და დღესაც მიილტვის განათლებისაკენ, ჩვენი თეატრი კუს ნაბიჯით, ბობღვით მისდევს მას.

ქართული თეატრი თავის კალაპოტში მეოთხმოცე წლებში ჩადგა. ამ დროდან იგი სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს. რა ცვლილება მოხდა მასში ამ ოცდა ცხრა წლის მუშაობის შემდეგ? შესამჩნევი არაფერი! ჩვენი დრამატიული ლიტერატურა დღემდის დაკნინებულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენსამე კლასიკურ პიესას, რომელიც თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს, ისიც ნათარგმნს. გვყავან თუ არა დრამატურგები, შემქნელნი ისეთ პიესებისა, რომელნიც სულდგმულობდნენ დღევანდელის ჭირ-ვარამით სავსე ცხოვრების ათასგვარ საკითხით? არა გვყავან. საერთო დაკნინებას ხელი შეუწყეს ჩვენმა მსახიობებმაც, რომელთაც დღემდის ვერ შეუგნიათ წმინდა და სპეტაკი მოვალეობა იმ ხელოვნების წინაშე, რომლის ქურუმობაც მათ უკისრიათ.

თეატრში მოსიარულე საზოგადოება დღეს სამ ნაწილად იყოფა.

პირველ ნაწილს ეკუთვნის ბურჟუაზია, რომელსაც დრამა პიტნად მიაჩნია. რომ ზამთრის დიდმა ღამეებმა მისთვის უმნიშვნელოდ არ ჩაიაროს, იგი დადის თეატრში, მხოლოდ იქ კი არა, სადაც შეუძლიან ნახოს ადამიანის სულის-კვეთება, სადაც დაინახავს თავის საკუთარ ნაკლულოვანობას, სადაც თვითონ შეეზიზღება თავისი თავი; იგი დადის ფარსებში, ოპერეტებსა და შანტანებში, სადაც იგი ჰხედავს გულმკერდ გადაღეღილ ქალებს და, პირში ნერწყვ მორეული, მათ ტანის რხევას გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს.

მეორე ნაწილს ეკუთვნის ინტელიგენცია, ცხოვრებაში უფრო მომზადებული ელემენტი. ეს ელემენტი დღეს ვეღარა კმაყოფილდება ჩვენი თეატრით. იგი გულ-გრილად უცქერის ჩვენს მსახიობს. ფშიბიშევსკისთანა ასმა და ორასმა მწერალმა მას გონება გამოუფხიზლა და ნათლად დაანახვა, რომ ხელოვნება სიცოცხლით სავსე და წინამსრბოლია. ამ ელემენტს დღეს თეატრი სკოლად მიაჩნია, არა იმ სკოლად, სადაც არტისტები სწავლობენ, არამედ იმ სკოლად, სადაც ხალხი სწავლობს ცხოვრებას, და ცხოვრება ხომ ადამიანს უმზადებს ნიადაგს ბრძოლის ბრწყინვალე მომავლისათვის. დიაღ, ამ ელემენტს ნათლად შეუგნია, რომ ხელოვნება თვალ-წარმტაცი ბაღია კაცობრიობისათვის, სადაც ადამიანთა ცხოვრების საუკეთესო ყვავილები უნდა ხარობდეს, ამიტომაც იგი სასტიკად ითხოვს მსახიობისაგან იმდენ მომზადებას, რომ შეეძლოს ტიპის განხორციელება, შეეძლოს ჩაუდგას ტიპს ის უტყუარი სული, რომელსაც, ავტორის აზრით, უნდა ატარებდეს ეს ტიპი. თეატრში მოსიარულე საზოგადოების ეს მეორე ნაწილი დღეს მკაცრ მოთხოვნილებებს უყენებს მსახიობს. იგი შეუბრალებელი კრიტიკოსია, სასტიკი და მკაცრი.

რითი უმასპინძლდება ამ სასტიკს, მკაცრს და შეუბრალებელ კრიტიკოსს ჩვენი თეატრი? უშინაარსობით, რადგან იგი გადაქცეულა მოწყენილობის და მთქნარების საკრებულოდ. გვყავს თუ არა ცხოვრებაში მომზადებული არტისტი-ინტელიგენტი? არა! დიახაც რომ არა! ჩვენ ვერა ვხედავთ სცენაზე ბუნებრივ გულწრფელობას, ვერა ვხედავთ სცენაზე არტისტის ღვთიურ ცეცხლს. მსახიობი უნდა ასულდგმულებდეს ვნებათა ბრძოლა-მოძრაობას სცენაზე. ჩვენი მსახიობი კი ამის ნაცვლად სცენაზედ ჯამბაზობს, ღრიალებს, მოუხეშავად იძვრის. გაიძვერა იაგოს მაგივრად გვაჩვენებენ ქალაქელ ავეტიქას და მოსკოვის მაღალ წრის ქალბატონის მაგიერ—ხანუმას.

ვინ არიან ამათ მოუმზადებლობაში დამნაშავე? რასაკვირველია, პირველად თვით მსახიობნი და შემდეგ ჩვენი თეატრის მესვეურნი. იმის მაგიერ, რომ მსახიობნი აჰყვნენ ცხოვრების კიბეს, ფეხ და ფეხ მისდიონ პროგრესის კვალს, ისინი კულისებში თუ გარეთ ურთი-ერთისადმი შურის-ძიებას და ინტრიგას ანდომებენ თავისუფალ დროს. ოღონდ მიეცი ჩვენ მსახიობს უშველებელი როლი, ოღონდ მან მთელი საათობით იღრიალოს სცენაზე და არც ერთხელ თავის თავს არ დაეკითხება, რამდენად ხელოვნურად ასრულებს იგი როლს.

ერთ თავის კრიტიკულ შენიშვნაში შილლერი ამბობს: სანამ მსახიობი ქალი არ შეიგნებს, რომ იგი თავის ტუალეტისათვის არ გამოდის სცენაზე, სანამ ის სცენა, რომელიც მაყურებელს უნდა უხატავდეს ადამიანის სულის-კვეთებას, ტანჯვას და წვალებას, იქნება მისთვის — მსახიობ ქალისათვის—იმ მიზეზად, რომ თავისი პატარა და კოპწია ფეხი გამოაჩინოს, თეატრი ასეთ პირობებში ჰკარგავს თავის დანიშნულებას. სანამ თვით მსახიობი ხელოვნებამდის არ ამაღლდება, ხელოვნებას არ ძალუძს ამაღლდეს მსახიობამდის.

განა გვყავან ჩვენ იმისთანა მსახიობნი, რომელნიც ამაღლებულიყვნენ ხელოვნებამდის?

დამნაშავის არა ნაკლებ როლს თამაშობენ ჩვენი თეატრის მესვეურნი, რომელნიც არ უწევენ დახმარებას და არ აძლევენ შესაფერ მაღალ სწავლას იმათ, ვისაც არტისტს ნიჭი და ნიშან-წყალი ეტყობა.

თეატრში მოსიარულე საზოგადოების მესამე ნაწილს ეკუთვნის მშრომელი ხალხი, მუშა ხალხი.

ეს ხალხი თეატრში არ დაიარება იმიტომ, რომ ჩვენი თეატრი მისთვის ხელ-მიუწდომელია. მუშა რომ თვეში სამ-ოთხჯერ წავიდეს თეატრში, ეს ხარჯი დიდ დანაკლის შეიტანს იმის პატარა ბიუჯეტში, და ამასთან იშვიათად გამოაქვს მუშას თეატრიდან რამე სარგებლობა, რადგან ქანდარა შორს არის სცენაზე და იგი არტისტის სულიერ ღელვას, მოძრაობას ვერ ამჩნევს, იმისთვის პიესის ყოველივე წვრილმანი გაუგებარია, ხშირად არც სიტყვები ესმის, და ამ გვარად ნანახ პიესიდან ძნელად თუ ადამიანმა გამოიტანოს რამე. ეს მუშას, რომელსაც დიდი სურვილი აქვს ღრმად დაეწაფოს პიესის ყოველ მხარეს, კარგად ესმის და ამიტომ ერიდება თეატრს.

ჩვენი სათეატრო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და აყვავება მაშინ შეიძლება, როდესაც ჩვენი მესვეურნი და მსახიობნი ყოველსავე ამ ზემოთ მოყვანილ დანაკლისს თავიდან აიშორებენ და საზოგადოების მოთხოვნილებას სავსებით დააკმაყოფილებენ—აი რაშია ხსნა.

ელ. ნაცვლაძე.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**✦ სახალხო უნივერსიტეტი.** 27 აპრილს მოხდა სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. გამგეობამ მოისმინა მოხსენება საზოგადოების სკოლების შესახებ. გამოირკვა, რომ რაღაც მიზეზისა გამო მოსწავლეებმა აიცრუეს გული, ასე რომ ზოგ სკოლაში 30—40 მოსწავლიდან 8—10 კაცი ძლივსღა დადის თურმე. ზოგნი წინააღმდეგნი იყვნენ ამ სკოლებში სწავლის განგრძობისა, რადგან ხარჯი დიდია, ნაყოფი-კი მცირეო. გამგეობამ დაადგინა, ზაფხულამდე დასტოვოს სკოლები წინანდელს მდგომარეობაში, ხოლო მომავალ სამოსწავლო წლისათვის შეემზადონ სკოლების რეორგანიზაციისთვის. არჩეულია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს სკოლათა სარეორგანიზაციო გეგმის შემუშავება. გამგეობამ მიიღო აგრეთვე წინადადება, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან დაარსდეს ღარიბ მოსწავლეთათვის მზრუნველი სექცია. ამ სექციაში გამგეობის წარმომადგენლად არჩეულ იქმნა ქ-ნი მ. როხლინისა. დასასრულ, მოხდა ახალ პრეზიდიუმის არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ისევ ვ. ი. რცხილაძე, იმის ამხანაგად—ნ. ჰიჭინაძე, მდივნად—ივ. კაჩუხოვი, ხაზინადრად—ლემანი.

**✦ სავალდებულო დადგენილება პირველ მაისის შესახებ.** „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი სავალდებულო დადგენილება პირველ მაისის შესახებ: პირველ მაისს ნორმალურ მიმდინარეობის, წესიერების და მშვიდობიანობის დასაცველად, ვაცხადებ: 1. მაღაზიები, დუქნები და სხვა სავაჭრო დაწესებულებანი, ქარხნები, ფაბრიკები, სახელოსნოები და სხვა სამრეწველო დაწესებულებანი უნდა გაიღოს დადგენილ საათზე, ვაჭრობა და მუშაობა ამ დაწესებულებებში უნდა სწარმოებდეს მთელ დღეს როგორც პირველ მაისს, ისე შემდეგ დღეებში; 2. ნოქრები, მუშები და სავაჭრო-სამრეწველო სხვა დაწესებულების მოსამსახურენი მოვალენი არიან, თავის დროზე გამოცხადნენ, 3. დამნაშავენი ადმინისტრატიულის წესით ან დაპატიმრებულ იქნებიან სამ თვემდე, ან დასჯილ სამი ათას მანეთამდე.

**✦ საქველ მოქმედო სეირნობა და წარმოდგენა.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობა და წარმოდგენა გამართოს 18 მაისს სათავადაზნაურო ბაღში და საზაფხულო თეატრში. წარმოდგენის მოწყობა დაევალა ნ. ქართველიშვილს. წარმოადგენენ ორ მოქმედებიან ოპერეტკას ქართულს ენაზე, ერთს ვოდევილს კნ. ელისაბედ ირაკ. ორბელიანისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით. წარმოდგენის დასასრულ გაიმართება დივერტისმენტი.

**✦ სტატისტიკა.** ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიამ შეადგინა სტატისტიკური ცნობები მარტში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ. მომხდარა: 50 ქურდობა და ამ ქურდობის გამო დაუპატიმრებიათ 49 კაცი; მკვლელობა—6 და ამ მკვლელობათა გამო დაუპატიმრებიათ 14 კაცი; გაძარცვა—5, დაუპატიმრებიათ 8 კაცი, ადმინისტრატიულის წესით გადასახლება—8. სულ საანგარიშო თვის განმავლობაში 88 ბოროტ-მოქმედება მომხდარა და ამის გამო 113 კაცი დაუპატიმრებიათ. მე-5 საპოლიციო ნაწილში დაუპატიმრებიათ 1 ტერორისტი, მე-7 ნაწილში შეუპყრიათ 2 კაცი, ერთს ჰქონია 590, ხოლო მეორეს 600 პატრონა; გაქცეულან პატიმრები და მოუკლავთ სამი, მე-10 ნაწილში დაუპატიმრებიათ 9

გამოქცეული ჯარის კაცი; გაჩხრეკის დროს სხვა და სხვა უბანში დაუპატიმრებიათ 919 კაცი.

✦ **სასამართლოში.** 27 აპრილს ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე გიორგი იაშვილისა, რომელსაც სხვებთან ერთად ჰპრალდებოდა ყასაბ დარჩუა დივანოვის მოტაცება და მის ნათესავებისთვის 5,000 მანეთის გამორთმევა. მკითხველებს ეხსომებათ ამ მოტაცების ისტორია. როგორც საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს, დივანოვი მოუტაცნიათ შუაღამის 12 საათზე, როდესაც დუქნიდან სახლში დაბრუნებულა. დივანოვი ჩაუსვამთ ეტლში და ნაძალადევში წაუყვანიათ, სადაც დღე და ღამე ჰყოლიათ. მერე იქიდან სადღაც ტყეში წაუყვანიათ და იქ 3 კვირა ჰყოლიათ. გამტაცებლებს პირველად მოუთხოვნიათ 50,000 მანეთი, მერე 5,000 მანეთზე ჩამოსულან და როდესაც ეს ფული მიუღიათ, გაუნთავისუფლებიათ. სასამართლოში იაშვილმა განაცხადა, რომ მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია დივანოვის გატაცებაშიო. მოწმე მულაშვილს უთქვამს, სწორედ ეგ იყო, რომელმაც ავჭალაში 5,000 მანეთი გამომართვაო. სასამართლომ იაშვილს 6 წლით კატორგა გადაუწყვიტა.

✦ **შანტაჟისტები.** ყაზბეგის ქუჩაზე მოვაჭრეს აბას ალი ისკანდერ ოღლის ამ რამდენიმე ხნის წინად პოლიციისთვის წარუდგენია უსახელო ბარათი, რომლითაც უცნობები 2500 მანეთსა სთხოვდნენ. ისკანდერ ოღლის ბინასთან საიდუმლო აგენტები დაუყენებიათ, მაგრამ კარგა ხანს არავინა სჩანდა თურმე. 27 აპრილს, ღამის 12 საათზე, ისკანდერ ოღლისთან მისულა 6 კაცი და მოუთხოვნია ფული. სახლის პატრონს აუტეხია ყვირილი და უცნობები მიმალულან. პოლიციას 4 კაცზე მიუტანია ეჭვი და დაუპატიმრებია: ნიკოლოზ მორინსონ, ალექსანდრე ბობროვი, გიორგი ზახაროვი და ალექსანდრე ცქიტიშვილი.

✦ **შუამდგომლობა.** ომალოს და ქოპოლის სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულებს გოლიაშვილს და გაურგაშვილს შუამდგომლობა აღუძრავთ კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტის წინაშე, ამ სოფლებში საქსოვი სახელოსნოები გამართოს და შინა მრეწველებს გაუმჯობესებული საქსოვი მანქანები დაურიგოს. (ზ.)

✦ **კრება.** დღეს, 29 აპრილს, საღამოს 8 საათისთვის დანიშნულია საზოგადო კრება კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრებას, სხვათა შორის, წარედგინება საბჭოს მოხსენება წესდების შეცვლის შესახებ, მოხდება არჩევნები ახალ წევრთა და სხვა.

✦ **„განდეგილი“ ფრანგულად.** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კნ. ელისაბედ ორბელიანისამ ფრანგულად გადათარგმნა ლერმონტოვის „დემონი“, ეხლა კნ. ორბელიანისას ლექსად ფრანგულად გადაუთარგმნია ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, რომელიც აულია გამოსაცემად პარიზში ერთ საგამომცემლო ფირმას.

✦ **დაპატიმრება.** 27 აპრილს, გაჩხრეკის დროს, პოლიციის მე-8 ნაწილში დააპატიმრეს 17 კაცი, მეოთხეში—4 და მეათეში—15 კაცი. დაპატიმრებულთ პასპორტები არ აღმოაჩნდათ.

✦ **დადგენილება.** ოზურგეთის მაზრის 25 სოფლის საზოგადოებას და ქალაქ ოზურგეთის თვით-მართველობის საერთო კრებას დაუდგენია, რომ იმ საშუალო სასწავლებელს, რომელსაც გურიაში გურულები თავიანთ ხარჯით აარსებენ, დაარქვან კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სახელი. („ზ.“)

✦ ტფ. სასულიერო სემინარიაში ეგზამენები დაიწყება პირველ მაისს და გათავდება პირველ ივნისს. სემინარიის მთავრობას დაუდგენია, მოდაფენი ბერიშვილი და კანდელაკი (წელს ათავებენ) სახელმწიფო ხარჯით სასულიერო აკადემიაში გაგზავნოს.

✦ ადმინისტრაციამ ნება დართო შუშანიკა ვართანიანცისას გამოსცეს ყოველ ოვიური სომხური ჟურნალი—„გრიჩ“ (კალამი).

✦ ბათუმის ქალაქის გამგეობამ დეპეშით სთხოვა ტფილისისას—შეგვატყობინეთ მოქმედებს თუ არა ყარსისკენ საკლავ საქონლის გასასინჯი კარანტინი და ხორცის რა ნიხრია ტფილისშიო.

✦ 27 აპრილს პოლიციამ დააპატიმრა შაქრო ბუზარიაშვილი, რომელიც ტფილისიდან ადმინისტრატიულის წესით ყოფილა გადასახლებული, მაგრამ დაბრუნებულა.

# სიმღერა

რად ამბობთ-გაზაფხულდაო,
მოკლულს გულს მიკლავთ მეორედ!
სთქვით, კიდევა სთქვით, საწყლებო,
სიცრუე გაიმეორეთ!..
მე ვერსად ვხედავ გაზაფხულს,
ვერსად ვარდს, ველარც იასა;
მიწურულია აპრილი
დღეს-კი ვერ ვხედავ მზიანსა
გაზაფხულისას ტკბილს და თბილს,
არც მერცხლებს მალხაზ ფრთიანთა:
ყორნებსა ვხედავ მხოლოდა
სისხლით დათხუპნილთ, ბრჭყალიანთა;
ჩემ ჰერ-ქვეშ ბუდეს აგებენ,
თქვენ კი გგონიათ მერცხლები.
აბ, კაცნო, რადა სტყუვდებით,
რადა ხართ ეგრე ბეცები?!.
ნუ თუ ვერ გაგირჩევიათ
მერცხლის და ყორნის კვერცხები?
სრულიად არ ვგრძნობ გაზაფხულს,
არ მოვტყუვდები აროდის...
მკვდარს რომ ვუცქერი ბუნებას,
სული ძმარ-ნაღვლად ამოდის...
ყვავილებისა ნაცვლადა
გველი სოროდან გამოდის,
ჰშხამავს და ჰპილწავს ყველაფერს
რასაც სიცოცხლე სწადიან;
გველს რო ჰხედავენ ბრიყვები
„გაზაფხულს“ გაიძახიან.
არა, ვერ ვხედავ გაზაფხულს
თუნდაც გამიწყრეთ ძალიან.
„ადიდებულა მტკვარიო“,
ტყუილი არის, ტყუილი:
თქვენ დიდად მოგჩვენებიათ
მისი უძლური შხუილი.
არც ჰქა მესმის, არც ელვა
და არსად წვიმის შხაპუნი.
„მცივაო, ცეცხლზე გამათბე,“
მესმის კარების რაკუნი
მგზავრის... ზაფხულის ლოდინით
გხიბლავთ ოცნება მაცდური.
ამ გვარის გაზაფხულისთვის
არა ჰჟღერს ჩემი ფანდური!
ყორნებსა მერცხლებად ჰსახავთ
და გველსა ია-ვარდადა—
ესე-ღა მაკლდა მხოლოდა
ნაღველის შესავსებადა.
რას ამბობთ, გამაგებინეთ,
რატომ არ ჰფიქრობთ კარგადა?!
მე რასაც სარგოდ არა ვცნობ—
არ ავიკიდებ ბარგადა:
ამ გვარი გაზაფხულები
გულს არ უცვნია მარგადა.
იძახეთ, „გაზაფხულდაო“,
ატყუეთ თავი მაგითა;
ნამდვილის ვარდის მაგივრად
იხარეთ ეკალ-ჯაგითა;
„გაზაფხულდაოს“ ძახილი
არ მოიშოროთ ბაგითა!

ვაჟა-ფშაველა.

# მოწერილი ამბები

**ახალციხე.** აპრილის 22-ს ახალციხეში შავ მიწას მიაბარეს მარიამ გრიგოლის ასული გამრეკელისა. განსვენებულს დიდი შრომა მიუძღოდა, მეტადრე ქართველთა წინაშე: მართავდა წარმოდგენებს და ადგრებს როგორც ადგილობრივ, ისე (ზაფხულობით) აბასთუმანში, რასაკვირველია, საქველმოქმედო აზრით, აგროვებდა შემოწირულებებს, უხსნიდა ხალხს, მეტადრე დედებს, სწავლის მიღების მნიშვნელობას და სხვა. ათ წლამდი ემსახურებოდა რაბათის დედათა სასწავლებელს. იგი თავმჯდომარედ იყო. მისის მეოხებით სწავლების საქმე იქ კარგად მიდიოდა.

განსვენებულმა დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ქართველთა შორის და მრავალი ცრემლი დააფრქვევია იმისმა დაკარგვამ აქაურებს. დაკრძალვას დიდი ძალი ხალხი დაესწრო ეროვნებისა, წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლად. წარმოთქვეს სიტყვები და შეამკეს გვირგვინებით განსვენებულის კუბო. გვირგვინები იყო: დედათა სკოლის საქველმოქმედო საზოგადოებისაგან, ამავე სკოლის მასწავლებელთა და მოწაფეთაგან, მეგობარ ქალებისაგან და სხვათაგან. სხვათ შორის ებრაელთა დეპუტაციიდან ხახამმა იოსებმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა. სიტყვა შეეხებოდა განსვენებულის მოღვაწეობას სკოლაში. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე გ. გვარამაძემ. სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლენი მიცვალებულის დაკრძალვას მუსიკით დაესწრნენ, ხოლო დედათა სასწავლებლის მოწაფენი მგალობელთა გუნდით. პროცესიამ განვლო ქალაქის უმთავრესი ქუჩები. ცხედარი დაკრძალეს რობათის სასაფლაოზე

მესხი კ.

—

**ხონი.** ხონის ბაზარს ღამე საყარაულოდ და დღისით წეს-რიგის დასაცველად დაქირავებული ჰყავს ათი დარაჯი. საუბედუროდ ესენი არც არაფერს დღისით აკეთებენ და არც ღამე, ვერც დღისით იცავენ წესიერებას და ვერც ღამე ჰყარაულობენ დუქნებს. პირიქით, როგორც დღისით, ისე ღამე თვითონ ისინი არღვევენ მშვიდობიანობას და ახდენენ უწესოებას. ან კი სადა სცალიანთ დღისით, როდესაც სულ იმის ფიქრსა და ძებნაში არიან, როგორმე ხაიგდონ ვინმე კლანჭებში და გამორჩნენ რამეს.

ამ დღეებში აქ გასტეხეს ორი დუქანი მოსიკო ჭელიძისა და მ. სანოძისა. მოსიკო ჭელიძის დუქნისათვის გამოუნგრევიათ ცოტაზე კედელი, მაგრამ შემდეგ მიუტოვებიათ. გაუტეხიათ მხოლოდ ფანჯარა და იქიდან ჯერ გაუტანიათ ბოთლები, მაგრამ რაკი ცარიელი აღმოჩენილა, იქვე დაუტოვებიათ. მ. სანოძის დუქნისთვისაც კედელი გამოუნგრევიათ და ისე შესულან. გაუტანიათ ერთი თუმნის საქონელი. როგორც ვხედავთ, წვრილმანი ქურდობაა, მაგრამ როგორც პირველის, ისე მეორის ქურდების გზაკვალს ვერ მიაგნეს. მხოლოდ მეორე დუქნის გატეხის გამო ეჭვი მიიტანეს რამდენსამე პირზე და დააპატიმრეს. დარაჯები ამ რიგად, ზედმეტი ბარგად გადაიქცნენ ბაზრისათვის. ისინი წეს-რიგის დარღვევის მეტს არაფერს უკეთებენ და ამისთვის კი ბაზარი 250 მანეთამდე იხდის თვიურად.

გ. მებუკე.

—

**სამეგრელო.** ვერაფერი საქმე დაემართათ მძ. გვათუებს. მათ შარშან აგვისტოში სენაკ-ზუგდიდს შორის აამოძრავეს ერთი ავტომობილი. მაგრამ ეს ავტომობილი, როგორც შემდეგ გამოირკვა, ძველი და უვარგისი გამოდგა. ორი-სამი დღის სიარულის შემდეგ ხშირად კვირა უნდებოდნენ ამ ავტომობილის შეკეთებას. ამ ბოლო დროს კი სრულიად შესწყვიტა სიარული. ამ ნაირად მათმა საქმემ ვერ იხეირა.

სამაგიეროდ, ფრანგებმა მშვენივრად მოაწყეს საქმე. მათ სამი ავტომობილი მოიტანეს. ორი მუდამ დღე დადის, ხოლო ერთი რეზერვში სდგას ყოველ შემთხვევისათვის.

სენაკსა და ზუგდიდ შუა დიდი მოძრაობაა. აქამდი მუდამ დღე მიდი მოდიოდა 10-12 დე დილიჟანი, რამდენიმე ფაიტონი და 8-10-მდე ფურგუნი ბარგით. საერთოდ ამ ეტლებზე ასამდე კაცი მუშაობს. როგორც ხმა დადის, ფრანგებს განზრახვა აქვთ ბარგის მზიდავი ავტომობილების მოტანაც. თუ ეს ხმა გამართლდა, 100 კაცამდე უადგილოდ დარჩება.

ს. საჯიჯაოში ამას წინად გაცარცვეს დუქანი. ავაზაკებმა გაიტაცეს, რაც კი წაიღებოდა. იქნებოდა ნაშუადღევის 4 საათი. იქვე ახლოს, სოფლის კანცელარიაზე, აუარებელი ხალხი იყო. ყაჩაღებმა გამორეკეს კანცელარიიდან სოფლის მოხელენი; აჰკიდეს მათ ნაცარცვი საქონელი და ხუთი ვერსის მანძილზე წაადებინეს. შემდეგ ცემით და მუქარით უკან გამოისტუმრეს. ბოქაულის პ. ჩაჩავას მეცადინეობით ავაზაკები და ნაძარცვი საქონელი აღმოაჩინეს სამურზაყანოს ერთ სოფელში. ავაზაკთანი ერთი ქალი ყოფილა.

ფარნა ყ—ია.

—

**ოზურგეთი.** (ნოქართა და მეეტლეთა ცხოვრებიდან). დღეს როგორც სხვაგან, ისე აქ გურიაში და კერძოდ ოზურგეთში პროფესიანული კავშირები აღარ არის. არსებობდა, სხვათა შორის, ოზ. ნოქართა პროფესიანული კავშირი. იყო დრო, როდესაც ამ კავშირის საქმე კარგად მიდიოდა. ნოქრები მაშინ მხნედ ეკიდებოდნენ საქმეს. დღეს-კი ზოგნი ამ კავშირს მტრულის თვალით უყურებენ: უმრავლესობა გულგრილობას იჩენს. ამის მცირედი ნაწილი ნოქრებისა, [illegible] გულგრილობას, მაგრამ რას იზამს. სამაგიეროდ [illegible] და სხვა სისაძაგლემ. ზოგიერთმა ვაჭრებმა ისარგებლეს ამით და რაც უნდათ, იმას სჩადიან: როდესაც მოესურვებათ, მაშინ აგდებენ ნოქრებს; დუქნებსაც არა ჰკეტავენ თავის დროზე. საჭიროა ნოქრები კვლავ გამოფხიზლდნენ და მოჰკიდონ საქმეს ხელი.

მეეტლეთა კავშირშიაც ასეთი ისტორიაა: იქაც გულ-გრილობა, დაუდევრობა. იყო დრო, როდესაც ისინი მხნედ იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ კიდეც. დღეს ეს აღარ არის.

ნაპერწკალი.

# უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

**თავისუფლებისთვის მსხვერპლთა ძეგლი.**

ქალ. სალონიკში ხელის მოწერა გამართეს თავისუფლებისთვის დახოცილ მებრძოლთა ძეგლის ასაგებად. ძეგლი სტამბოლში იქნება დადგმული. ხალხი დიდ ფულსა სწირავს ამ საქმისთვის.

**აბდულ-ჰამიდის ფული.**

ბერლინის მსხვილი ბანკებს გამოუცხადებიათ გაზ. „ბერლ. ტაგებლატ“-ის კორესპონდენტისთვის: ჩვენ მოვალენი არა ვართ შევასრულოთ ოსმალეთის პარლამენტის დადგენილება, რომლის ძალით ტახტიდან ჩამოგდებულ სულთანს აბდულ-ჰამიდს უნდა ჩამოერთოს ოსმალეთის სასარგებლოდ ყველა ის ფული, რომელიც მას შეუტანია უცხოეთის ბანკებშიო, რადგან მათთვის სულთანი კერძო პირია; ხოლო ბერლინელი იურისტი პროფესორი ბორნგაკი არ ეთანხმება ბანკირების ასეთს აზრს. ჰფიქრობენ, რომ ოსმალეთის მთავრობა ამ ფულს აბდულ-ჰამიდის მიერ ხელმოწერილ თხოვნის ძალით გამოიტანს ბანკებიდან, ხოლო ასეთ თხოვნაზე ძალით მოაწერინებს ხელს ტახტიდან ჩამოგდებულ სულთანსაო.

**ჯარისკაცების ფიცი.**

ოსმალური გაზ. „სერვესტი“ იუწყება: ახალმა სულთანმა მაჰმად მეხუთემ ერთს გენერალს, რომელიც მას ახლდა, ბლომა ფული შეაძლია ჯარისკაცებისთვის დასარიგებლად; გენერალმა არ მიიღო ეს ფული და სთხოვა სულთანს, რომ მომავალშიაც არ აჩუქოს ჯარისკაცებს ფული, რადგან ეს რყვნის იმათაო.

ჯარისკაცებმა ფიცი მიიღეს, რომ არავისგან არ მიიღებენ ფულად საჩუქარს.

**იემენის ვილაეთს ავტონომიას აძლევენ.**

გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ: ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა ავტონომია მივცეთ იემენის ვილაეთის აღმოსავლეთ ნაწილს, რათა ამ საშუალებით ბოლო მოუღოთ მუდმივ არეულობას არაბთა შორისო.

**კონსტიტუციის შეცვლა.**

დეპუტატთა პალატა, როგორც ვიცით, შეუდგა ეხლანდელ კონსტიტუციის რეფორმის განხილვას. ბოლგართა და ბერძენთა დეპუტატებმა პროტესტი განაცხადეს კონსტიტუციის პირველ მუხლის წინააღმდეგ, რომლის ძალით ისლამი გამოცხადებულია სახელმწიფო სარწმუნოებად ოსმალეთში. ამის შემდეგ ბოლგართა დეპუტატმა დაიჩევამა მოითხოვა გაუქმება ეხლანდელ სენატისა, რომელიც წარმოადგენს თვითმპყრობელობის ნაშთსაო, და წინადადება შეიტანა, ან სულ გავაუქმოთ სენატი, ან არა და მის ნაცვლად დავაწესოთ ზედა პალატა, რომელსაც თითონ ხალხი უნდა ირჩევდესო. ამ წინასწარ კამათის შემდეგ პალატა შეუდგა ახალ კონსტიტუციის მუხლ და მუხლ განხილვას. ახალ პროექტის თანახმად, სულთანი მოვალეა ტახტზე ასვლის შემდეგ პარლამენტის წინაშე ფიცი მიიღოს კონსტიტუციის და შარიატის ერთგულებაზე. სულთანი ჰნიშნავს მხოლოდ დიდ ვეზირსა და შეიხ-ულ-ისლამს. დიდი ვეზირი ადგენს სამინისტროს. სამინისტრო უნდა გადადგეს სამსახურიდან, თუ პალატა უნდობლობას გამოუცხადებს. თუ პალატა დაითხოვა სულთანმა, ახალი არჩევანი უნდა მოხდეს სამი თვის განმავლობაში. თუ პალატა ორჯელ უარჰყოფს მთავრობის რომელსამე წინადადებას, იგი უნდა დათხოვნილ იქმნას. და თუ ახლად არჩეული პალატაც უარჰყოფს ამ წინადადებას, მაშინ ასეთი დადგენილება ითვლება საბოლოოდ. პარლამენტის სესსიამ ყოველ წელს ექვს თვეს უნდა გასტანოს. სენატი შესდგება 45 წევრისგან, რომელთაგან ერთს მესამედს ჰნიშნავს სულთანი, ხოლო დანარჩენს ორს მესამედს ირჩევს დეპუტატთა პალატა. სენატი უნდა განახლდეს ყოველ ცხრა წელიწადს. სენატის სხდომები საჯიროა. სულთანს არა აქვს უფლება დაკარგოს და გადაასახლოს არაკეთილ-საიმედო პირები. უქმდება წინასწარი ცენზურა. აკრძალულია ის კავშირები და ორგანიზაციები, რომლებიც მიმართულია კონსტიტუციისა და სახელმწიფოს მთლიანობის წინააღმდეგ.

სხდომის დროს თავმჯდომარემ გამოაცხადა, სპარსეთის ელჩი დეპეშით გვატყობინებს, რომ შაჰმა ბრძანება გასცა, პარლამენტი შეკრიბეთო. ამ დეპეშის წაკითხვას პალატა მიეგება ძლიერის ტაშისცემითა და ძახილით: „ჩვენს მაგალითს უმოქმედნია შაჰზეო“.

**აბდულ-ჰამიდი სალონიკში**

„რუს. სლოვო“-ს სალონიკელი კორესპონდენტი იუწყება: „მას აქეთ რაც აბდულ-ჰამიდი სალონიკშია, მას ერთი და იგივე ტანისამოსი აკვია, რადგან სხვა არა აქვს. გუშინ ითხოვა ახალი მიყიდეთო. ხუთი კოსტიუმი მოუტანეს, მაგრამ არც ერთი არ მოეწონა. ბოლოს ძლივს მოიწონა ერთი კოსტიუმი. მკერვალს არ უნახავს აბდულ-ჰამიდი, რადგან მასთან არავის უშვებენ: იგი მოსამსახურეების პირით ელაპარაკება გარეშე ხალხსა.

**რეაქციონური მოძრაობა.**

ქალ. უსკუბში დაიკარგა 40 ჯარისკაცსდე, რომლებიც სტამბოლიდან იყვნენ მოყვანილნი, როგორადაც კონტრ-რევოლიუციის მონაწილენი. ამბობენ, რომ ეს ჯარისკაცები მიემხრნენ ალბანელთა რაზმებს, რომლებიც მშვიდობიან ხალხსა სძარცვავენო.

ქალ. დამასკში კონფისკაცია უყვეს 500 თოფს, რომელიც ბეირუთიდან იყო გამოგზავნილი. სასტიკი გამოძიება დანიშნეს იმის გასაგებად, თუ ვისგან და სად იყო გაგზავნილი ეს თოფები.

დამასკის გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომ ადგილობრივმა ჯარმა დაატუსაღოს აგიტატორები, რომლებიც ჯარში ბეჯით აგიტაციას ეწევიან ძველი რეჟიმის სასარგებლოდაო.

# სპარსეთის ამბები

**ხალხი არ ენდო შაჰსა.**

თუმცა შაჰმა კონსტიტუცია გამოაცხადა, დროც დანიშნა არჩევნისა და მეჯლისის გახსნისათვის, მაინც სპარსეთის ხალხი არ ენდო მას და არ დაკმაყოფილდა მის ცალიერ

დაპირებით. რევოლიუციონერებმა ერთ წამსაც არ შესწყვიტეს ბრძოლა; ისინი წინანდებურად ჰფიქრობენ, რომ ნამდვილ კონსტიტუციას მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ, როდესაც თეირანსა და შაჰის რეზიდენციას ბაღეშაჰს აიღებენ.

საზოგადო უკმაყოფილება პროვინციებში ძლიერდება. ყველგან რაზმებს აარსებენ თეირანზე გასალაშქრებლად. ბახტიარების მრავალრიცხოვანმა რაზმმა უკვე გაიარა ქაშანი და მალე თეირანს მიუახლოვდება. კაზვინიდანაც მიდის რაზმი თეირანისკენ. ელიან, რომ თავრიზელ რევოლიუციონერებიც გამოილაშქრებენ თეირანზეო. ყველაფრიდან სჩანს, რომ მალე მოხდება გადამწყვეტი ბრძოლა. რევოლიუციონერებს და რეაქციონერებს შორის. თეირანში მოუთმენლად ელიან პოლკოვნიკ ლიახოვის დაბრუნებას; იგი შაჰმა თავრიზში გაგზავნა რუსის რაზმის მისასალმებლად. („ზ.)

**პანოვი ცოცხალია.**

„ზაკავკაზიე"-ს ატყობინებენ, რომ პანოვი ცოცხალი ყოფილა და 23 აპრილს მას ათას მამაც ცხენოსნით მაზანდერანზე გაუვლია და თეირანისკენ გამართულაო.

პანოვს თურმე დიდძალი თურქმენი შემოეხვია არდაბილში, მაგრამ მან ათიოდე კავკასიელით გარეკა მტრის ჯარი და მაზანდერანს ამოყო თავი. აქ პანოვმა დაარსა ენჯუმენი, მოაწყო რაზმი და ბახტიარებთან შეთანხმებით თეირანზე გაილაშქრა.

**ინგლის პრესის აზრი სპარსეთის საქმეებზე.**

ინგლისური კონსერვატიული პრესა („ტაიმს"-ი, „სტანდარდ"-ი და სხვანი) საკმაოდ დინჯად სწერს რუსის ჯარი თავრიზში შესვლაზე, ხოლო რადიკალური პრესა მეტად მტრულად უცქერის რუსეთის პოლიტიკას.

„დეილი ნიუზ"-ი და „მანჩესტერ გარდიან"-ი (რადიკალური გაზეთები) გადაჭრით მოითხოვენ, რომ რუსის ჯარი დაბრუნდეს სპარსეთიდან. „მანჩესტერ გარდიან"-ი აცხადებს, რომ რუსეთის მიერ ჯარის გაგზავნა სპარსეთში, თუმცა ამაზე ინგლისმაც განაცხადა თანხმობა, მაინც ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომლის თანახმად არც რუსეთი და არც ინგლისი არ უნდა ჩარეულიყვნენ სპარსეთის შინაგან საქმეებში. გაზეთი ამტკიცებს, რომ რუსეთის აგენტები სპარსეთში ცუდად იქცეოდნენ, და რომ მათი შუამავლობა გულწრფელი არაა. მეორე ნომერში იგივე გაზეთი ამტკიცებს, რომ რუსეთს განზრახვა აქვს სპარსეთი აქციოს მეორე ეგვიპტედ, სადაც ინგლისი ისეთსავე უმნიშვნელო როლს ითამაშებს, როგორსაც ეხლა რუსეთი და საფრანგეთი თამაშობენ კაიროში.

**დღესასწაული სათარ-ხანის პატივსაცემლად.**

23 მარტს თავრიზის ენჯუმენმა დღესასწაული გამართა სათარ-ხანის პატივსაცემლად. დღესასწაულს დაესწრნენ ენჯუმენის მიერ დანიშნული გუბერნატორი, რევოლიუციონერების მეორე გამოჩენილი მეთაური ბაღირ-ხანი და დიდძალი ხალხი. ენჯუმენის შენობის ეზოში განუწყვეტლივ უკრავდა მუსიკა. ორატორებმა წარმოსთქვეს სიტყვები და ხალხს მოუწოდეს, ნუ უღალატებთ კონსტიტუციას, რომელიც სისხლით მოიპოვეს რევოლიუციონერებმაო. ხალხმა პასუხად დაიძახა:

გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს სათარ-ხანს!

ხალხი ყველგან ქუჩებში მხიარულობს და დღესასწაულობს, მაგრამ მაინც ყველამ გადასწყვიტეს ჯერჯერობით იარაღს ნუ დავყრითო.

სათარ-ხანს უთქვამს „რ. სლ."-ს კორესპონდენტისთვის: მზადა ვარ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლო კონსტიტუციისთვის, თუ შაჰი კიდევ უღალატებს მასაო.

**სპარსეთის საბაჟოების შემოსავალი.**

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ წარსულ საფინანსო 1908—1909 წელს სპარსეთის საბაჟოებს შემოუვიდათ 600 ათასი გირვანქა სტერლინგი (6 მილიონ მანეთამდე), ესე იგი იმდენივე, რამდენიც 1906-1907 საფინანსო წელს შემოუვიდათ, მაგრამ 100 ათას გირვანქა სტერლინგით ნაკლები 1907-1908 წლის შემოსავალზე. ამასთანავე კორესპონდენტი შეჰნიშნავს, რომ ორსავე წარსულს წელს მეტად დიდი, არა ჩვეულებრივი შემოსავალი ჰქონდათ სპარსეთის საბაჟოებსაო. ასე რომ რევოლიუციამ სულ მცირე გავლენა იქონია ვაჭრობაზე. ადერბეიჯანის საბაჟოების შემოსავალს წარსულ წელს თვით 1907-1908 წლის განსაკუთრებულ შემოსავალთან შედარებით მხოლოდ 37 ათასი გირვანქა (370 ათას მანეთამდე) დაჰკლებია კორესპონდენტის ანგარიშით; რუსეთის ვაჭრობას წარსულს წელს მარტო 8 პროცენტი დაჰკლებია, ხოლო ინგლისისას, რომლის საქონელი სპარსეთის ყურის ნავთ-სადგურებიდან შედის სპარსეთში, 23 პროცენტი".

# ტფილისის ქალაქის საბჭო

**27 აპრილი.**

ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომას ამ დღეს თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. თავმჯდომარემ საბჭოს აცნობა გარდაცვალება ხმოსნის და სათავად-აზნაურო ბანკის დირექტორის ვ. სულხანიშვილისა. საბჭომ ფეხზედ ადგომით სცა პატივი განსვენებულის ხსოვნას.

საყურადღებო მოხსენება ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის ლებონის მემორანდუმის შესახებ შემდეგისათვის გადაიდო, რადგან უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი დამატებით მოხსენების წარდგენას აპირებს გამგეობაში როგორც ხელშეკრულების შეცვლისა, ისე ავჭალიაა და ნაძალადევის გზის გაყვანის ვადის გაგრძელების შესახებ 1911 წლამდე.

საბჭომ შემდეგ განიხილა და თითქმის უცვლელად დაამტკიცა პროექტი სავალდებულო დადგენილებათა ფუნიკულერის სახელმძღვანელოდ.

კამათი გამოიწვია ხმ. მინეევის განცხადებამ—მეეტლეს უკანვე დაუბრუნდეთ ჯარიმა 2300 მანეთი. ხმ. მინეევმა სთქვა: მეეტლეებს გადასახადების დროზე შეუტანლობისა გამო უკანონოდ შეეწერათ ჯარიმა, რადგან გადასახადების შეტანის ვადა თვით საბჭოს მიერ ერთი თვით გადიდებულ იქნა. გამგეობას გამოურკვევია, რომ საბჭოს სხდომის ოქმში მდივნის მიერ შეცდომით იყო მოყვანილი დადგენილება. ოქმით გამოდიოდა, ვითომ მეეტლეებს ერთ თვეზე მეტი ვადა მისცემოდათ, რაც ნამდვილად არა ყოფილა. ასეთ შემცდარ დადგენილებაზე დამყარებული ხმოსანი მინეევი თხოულობდა, მისცემოდათ მეეტლეებს 2300 მანეთი. საბჭომ არ შეიწყნარა ხმ. მინეევის თხოვნა.

ამ დღეს საყურადღებო იყო ტფ. ვაჭართა კომისიის მოხსენება სავაჭრო ფირმებისათვის სავალდებულო დადგენილების გამოცემის შესახებ. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამ ბოლო დროს ტფილისელ ვაჭრებში მუშტრის მოსაზიდავად ფეხი მოიკიდა ეგრედ წოდებულმა იაფობამ. ვაჭრები ხშირად აცხადებენ აგრეთვე: ლიკვიდაციის გამო საქონელს ნახევარ ფასად ვყიდითო. ტფილისელ ვაჭართა ერთ ჯგუფს, როგორც ეტყობა, ეს ჰკუაში არ დასჯდომია, ალბად ბევრ მუშტარსა ჰკარგავენ, და ვითომდა მცხოვრებთა ინტერესების დასაცავად შესდგომია ზრუნვას „ლიკვიდაციის" და „რასპროდაჟის" მოსასპობად. ვაჭრებს აფრიკიანცის თავმჯდომარეობით შეუდგენიათ კომისია და იმისთვის დაუვალებიათ ზრუნვა ამ საქმეზე. კომისიას ქალაქის გამგეობისათვის მიუმართავს—გამოეცით სავალდებულო დადგენილებაო. კომისია აცხადებს თურმე, ზოგიერთ ვაჭრების ხერხიანის მოქმედებით ღარიბი ხალხი იყვლიფება და იცარცვებაო. გარდა ამისა ასეთი ჯურის ვაჭრები საზოგადო ვაჭრობასაც ძირს უთხრიან და სახელს უტეხავენ კარგ ფირმასაო. ამ საქმეს რუსეთის დიდ ქალაქებში ადმინისტრაციამაც კი მიაქცია ყურადღება და საჭიროა ქალაქის საბჭომ იღონოს რამე მათ წინააღმდეგაო. გამგეობას აღნიშნულ კომისიის დახმარებით შეუმუშავებია პროექტი სავალდებულო დადგენილებათა შესახებ.

ვიდრე საბჭო არსებითად პროექტის განხილვას შეუდგებოდა, აღიძრა პრინციპიალური საკითხი: სასურველია თუ არა ისეთ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა, როგორც გამგეობას ვაჭართა კომისიის თხოვნით შეუმუშავებიაო. ხმოსნები ი. ს. ჯაბადარი, კ. ჯაფარიძე, არ. ახნაზაროვი და მელიქ-ბეგლიაროვი წინააღმდეგნი იყვნენ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა. ისინი ამტკიცებდნენ რომ ძნელია ამ სავალდებულო დადგენილებით რაიმე საქმის გაკეთება და მცხოვრებთ უფრო ზარალს მოუტანს, ვიდრე სარგებლობასაო, რადგან თავისუფალ კონკურენციის ალაგმვა არავისთვის საჭირო არ იქნებაო. ხმოსანთა უმრავლესობა კი თანახმა გახდა გამგეობისა ხმ. ელიავა, გამგეობის წევრი ალ. ხატისოვი და სხვანი საჭიროდ სცნობდნენ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემას.

კარგა ხანს კამათის შემდეგ საბჭომ საჭიროდ სცნო სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა და შეუდგნენ პროექტის განხილვას. პროექტში ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს. სავალდებულო დადგენილებით ყოველი ვაჭარი, რომელიც გამოაცხადებს „რასპროდაჟას", ვალდებულია ნება-რთვა ქალაქის გამგეობისაგან აიღოს. ნება-დაურთველად „რასპროდაჟის" მოხდენა ვაჭრებს მხოლოდ აღდგომის შემდეგ კვირაცხოვლის კვირაში შეუძლიანთ. სალიკვიდაციო განცხადებების გამოკვრა ვაჭრებს შეუძლიანთ მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილად სპობენ ვაჭრობას. ლიკვიდაცია ორის თვის განმავლობაში უნდა მოახდინოს ვაჭარმა; „რასპროდაჟა" მხოლოდ ორი კვირის ვადით უნდა გაგრძელდეს და სხვა.

საბჭომ ამავე საღამოთი ორიოდე წვრილმანი საქმეც განიხილა.

სხდომა ღამის $11^{1}/_{2}$ საათზედ დასრულდა.

# თეატრი და ხელოვნება

**პეტერბურგი.** 9 აპრილს ქართულ სცენის მოყვარე სტუდენტებმა აქ გამართეს საღამო. დასდგეს პიესა „არც აქეთ, არც იქით". წარმოდგენამ საერთოდ სუსტად ჩაიარა როლების უცოდინარობისა გამო, თუმცა მცირე რიცხვოვანი დამსწრე ქართველი საზოგადოება, რომელმაც თავის ბედნიერ ყურადღების ღირსი გაგვხადა, ამ საღამოთი ცოტად თუ ბევრად კმაყოფილი დარჩა. მთავარი როლები შეასრულეს პ. ქავთარაძემ და ალ. არაბიძემ. ეს ორნი და ნ. მიქელაძე, რომელმაც ძალიან კარგად ჩაატარა თავისი უმნიშვნელო როლი, სასცენო უნარს იჩენენ. დრო და დრო ვამოდიან სცენაზედ და რიგიანადაც თამაშობენ. სუსტი იყო ა. ცაგარელი: მთელს მოქმედებაში ერთგვარი, ძალდატანებული მიმოხვრა ჰქონდა. როლი არც ამან იცოდა. როლის ცოდნა თუმცა მეტი არ მოეთხოვებოდათ, რადგან წიგნი მხოლოდ ორი დღის წინად ძლივს იშოვეს და, თუ არა ვცდები, ერთი რეპეტიციის მეტი არცა ჰქონიათ.

წარმოდგენას საკონცერტო განყოფილება მოჰყვა. სხვათა შორის, იმღერა რუსული რომანსები ივ. სარაჯიშვილმა. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდე, რომ ის სინარნარე ხმისა, დაბალ ხმებიდან მაღალზე თავისუფალი გადასვლა, რაც ასე ადვილად ეხერხებოდა სარაჯიშვილს და ბუნებრივობასაც არ ეწინააღმდეგებოდა, ის სიტკბო ხმისა, რომელიც მსმენელს ჰხიბლავდა, მართალია, მთლად არ დაჰკარგვია, მაგრამ... ის აღარ არის, რაც იყო! ხმის წმინდა, ვერცხლებრივი წკრიალიც თუ მთლად არა, ბევრად ჩამოურჩება წინანდელს. ალაგ ალაგ ხმის რხევა-რთოლვაც უსუსტებს და იძულებულია ძალა დაატანოს თავს ეფექტის მისაცემად. საზოგადოება მაინც აღტაცებით მიეგება და თაიგულიც მიართვა. ბევრს ეხვეწნენ ურმული ან სხვა რამ ქართული სიმღერა შეესრულებინა, მაგრამ თხოვნამ ვერ გასჭრა. მხოლოდ ბოლოს, რადგან ხმაურობა და ტაშის ცემა არა სცხრებოდა, სარაჯიშვილმა ერთი შინაურულად შესძახა ურმულის ნაწყვეტი და თავი დაუკრა გულდაწყვეტილს საზოგადოებას. სხვათა შორის რუსულად წაიკითხა ლექსები ქართველმა ქალმა! როგორცა სჩანს, უცხო ენაზედ უფრო ეხერხებათ ჩვენს განათლებულ მანდილოსნებს ლექსების კითხვა, ვიდრე დედა-ენაზე. დასასრულ მშვენივრად წაიკითხა იმერული სცენები იმავე ალ. არაბიძემ; ხალხი გამხიარულდა და განუწყვეტლივ ისმოდა ტაშის ცემა. **დემნა მროველი.**

# შემოწირულება

წ.-კითხვის საზოგადოებამ მიიღო ლატარიისათვის:

დ. სარაჯიშვილისაგან 40 მანეთის კონიაკი; მ. ჩოდრიშვილისაგან 4 თარო; NN-საგან 6 საპონი; მიხეევისაგან აბრეშუმების შარფი; გულაზოვისაგან 24 ცხვირსახოცი; ისაკოვისაგან ჩულქები; ლამხიანცისაგან 6 ცხვირსახოცი; ხუნდუკიანისაგან სამაქრე; მეტრეველისაგან 2 ხელსახოცი; ყავალოვისაგან 11 დუზი; დავლაშერიძისაგან 1 ბეწვის საყელო; N-საგან 2 საჩაიე; არშაკუნოვისაგან ვაზა; შარმაზოვისაგან ძაფი; ტერტეროვებისაგან 2 პუდრი, 12 საპონი; ორბელიანისაგან 2 ფარ. ვაზა; გ. კვეზერელი ცოპაძისაგან 1 მუფთა; ბეიხანოვისაგან მედალიონი, ბალაევისაგან ვერცხლის ჯვარი, ტეროზუნოვისაგან ვერცხლის ჯვარი; იმაროვისაგან «ბრელოკი»; კანკუევისაგან „ბრელოკი"; პაპიშვილისაგან ვერცხლის ბეჭედი; მალხაზოვისაგან ვერცხლის „ბრელოკი"; კურბენოვისაგან 2 ვერცხლის «ბრელოკი»; კუშევისაგან ვერცხლის ქეტონი, არუთინოვისაგან ვერცხლის ჯვარი; ამხანაგობისაგან „ბროშკა"; ჩახტურიანისაგან ვერცხლის ჯვარი; მეიტაჩნიკოვისაგან ვერც. „ბროშკა"; ფიცხელაურისაგან მესტები; მიხეილ ყიფიანისაგან ბარელიეფი და საფერფლე; სვრქიცკისაგან სამე; სულხანოვის მაღაზიიდან 1 მიხაკის ფერი წამოსასხამი; გრეგუარის მაღაზიისაგან საპონი, პუდრა, ჩოთქები კბილისა და სხვა; ი. თურქისაგან 2 კალმის-ტარი; მ. ნებაროვისაგან ტუფლები; ბოცილნისაგან 45 კ.; გაიდამაკინისაგან 1 ყუთი ქაღალდი, ერთი ბიუვარი, ორი წიგნაკი; ტეხიკიანისაგან 2 ყუთი გილზი, 2 ყუთი სიგარა, 4 საფერფლე, 5 საწუმწუმე, 1 მუშტუკი; ძმ. ტარნოპოლების სავაჭრო სახლისაგან 30 არშინი მპალერი; ძმ. ჩილინგაროვებისაგან 3 „ბრელოკი" და 1 ჯაჭვი; ი. გუდისაგან 5 ეგზ. ნოტი; NN-საგან 1/2 დუჟინი საპონი; ე. ბულზკოვისაგან 24 ცხვირსახოცი; მაგ-მაგოვისაგან ჩულქები.

# ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის ასაგებათ.**

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო:

ალექსი თუთაევისაგან 5 მან., პოდპოლკოვნიკ ილარიონ ხოსიტაშვილისაგან 1 მ., ფოთიდან სასტუმრო „კოლ ხიდის" მომუშავეთა შორის შეგროვილი 6 მ. 30 კაპ., შემომწირველთა სია: 1 მ. პ. ტოროჯაძემ, ი. ბოლქვაძემ და ვ. კეკუამ; ათ-ათი შაური: ვლ. გოგოლაძემ, ედ. ჯაგნელიძემ, ფ. კობახიძემ და არ. ბოლქვაძემ; ორი აბაზი პავ. რუხაიამ; ექვს-ექვსი შაური: ის. ბოლქვაძემ, იოსებ ჯახუამ და გერ. ბოლქვაძემ. იასონ ფანიაშვილმა გადმოგვცა რკინის გზის მუშებში შეგროვილი 12 მ. შემომწირველთა სია: თითო მანეთი ისაკ ალხანაშვილმა და იასონ ფანიაშვილმა; ათ-ათი შაური: არჩილ დევაძემ, გრ. კევლიშვილმა, ის. გობეჯიშვილმა, ნ. ქელბაქიანმა, მიხ. გეორგობიანმა, ლ. ჯამასპოვმა, ვ. ნადირაშვილმა, აგაფია ჯანაშიამ, ილ. კვინიხიძემ, ასლან ყენიამ, ვ. ნ—ძემ და გრიშა რატიანმა; ორი აბაზი პავ. დეკანოზიშვილმა: შვიდი შაური ფრანც გოკიელოვმა და ალ. ჯობაძემ; ექვსი შაური სან. ტატიშვილმა და დ. დვალიამ; ხუთ-ხუთი შაური: დ. მაჭავარიანმა, ილ. გელაშვილმა, ქ. ვეფხვაძემ, სოლ. ძაგნიძემ; თითო აბაზი: კოლ. მრევლიშვილმა, ნატ. ჭყონიამ, ვ. პარასტაშვილმა, ეს. გასეევმა, არ. მირზაშვილმა და ილ. ნაცვლიშვილმა და 10 კაპ. ილ. კიპროზოვმა. სულ 24 მან. 30 კაპ.

დღემდე შემოსული იყო 442 მან. 53 კაპ., შესდგა 466 მან. 83 კაპ,

# რუსეთი

✦ **ჯარში.** როგორც ვიცით მოსკოვის საცენზურო კომიტეტმა მოსკოვის ყოფილ გენერალ-გუბერნატორის გერშელმანის მოთხოვნით ლ. ანდრეევის პიესაში „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" აღკრძალა ერთი მოქმედი პირის, აფიცერის თამაში, რადგან აფიცერი მთვრალი გამოდის და სამხედრო პირების პრესტიჟს სცემსო. „რეჩის" სიტყვით ჯარის განათლების კომიტეტს განუხილავს ეს პიესა და ჩირიკოვის „თეთრი ყორანი» და მათში სამხედრო პირების შეურაცხყოფა ვერ დაუნახია. ამ პიესებს ამის შემდეგ უცვლელად წარმოადგენენ.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, სარატოვში 1. ოდესაში 2, ეკატერინოსლავში 2, იურიევში 1, ვარშავაში 1. კამენეც-პოდოლსკში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: მოსკოვში 5, უფაში 2, ვარშავაში 1, ეკატერინოდარში 1, ელისავეტპოლში 1, ტომსკში 2 ოდესაში 1 კაცი.

✦ **სინოდის დადგენილება.** „რუსკ. ვედომ." სიტყვით სინოდს 20 აპრილს განუხილავს დეკანოზ ვოსტორგოვის და მისიონერ აივაზოვის მოხსენება სოციალიზმის შესახებ. ვოსტორგოვის და აივაზოვის აზრით სოციალიზმი უტოპიაა და მის გავლენის ქვეშ მარტო მუშები და ინტელიგენცია კი არ იმყოფება, არამედ სასულიერო პირნიც. სოციალიზმის ქადაგება მით არის საშიში, ამბობენ მომხსენებელნი, რომ სოციალისტები ქრისტეს მოძღვრებით სარგებლობენ და მასშიაც ხედავენ სოციალიზმს, რაც რა, თქმა უნდა, თავის გავლენას ახდენს მუშებზე და გლეხებზე. მომხსენებლების აზრით, საჭიროა რომ მღვდლებმა თავიანთ მრევლს განუმარტონ ეს სიყალბე. სინოდს დაუდგენია დაავალოს მღვდლებს, განუმარტონ მრევლს, რომ ქრისტეს მოძღვრება სოციალიზმის წინააღმდეგია.

✦ **სტოლიპინი იმარჯვებს.** „გოლ. პრავდა"-ს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ საზღვაო შტაბის შტატებს დაამტკიცებენ და პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი თავის ადგილზე დარჩება.

✦ **მემარჯვენეთა პასუხი.** მემარჯვენეებს ოქტომბრისტებისთვის გადუციათ, რომ ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ძველ წესწყობილებას დაუბრუნდეთ და სახელმწიფო სათათბიროს გავაუქმოთ, მაგრამ არც იმის ნებას მოგცემთ, რომ სათათბიროს უფლება გააფართოვოთო.

✦ **უმაღლეს სასწავლებლების რევიზია.** სახალხო განათლების მინისტრს გადუწყვეტია რევიზია უყოს უმაღლეს სასწავლებლებს. ჯერ-ჯერობით რევიზიას პეტერბურგის უნივერსიტეტს უშვრებიან.

✦ **ფრაქციიდან გასვლა.** სახელმწიფო სათათბიროს მრომის ჯგუფიდან გასულა დეპუტატი როზანოვი.

✦ **გერმანიის იმპერატორის ჩამოსვლა.** „კასპის" სიტყვით დიპლომატიური წრეები დანამდვილებით ირწმუნებიან, რომ მაისის შუალო რიცხვებში პეტერბურგში ჩამოვა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი.


# განცხადებანი

**ტფილისის სათ.-აზნაურო საადგილ-მამულო ზედამხედველო**

# კომიტეტი

ამით აუწყებს ბ-ნ რწმუნებულთ, რომ 1909 წლის 23 მაისისთვის დანიშნულ ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრებაზე **მოხდება არჩევნები** ამ ბანკის გამგეობის წევრისა, ნაცვლად 21 აპრილს გარდაცვლილ ვ. ა. სულხანიშვილისა. (3—უ.—2)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბერიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—48)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1889 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—75)

# მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) სააგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) სააგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

# ყველას შეუძლიან უზარალოდ

დარწმუნდეს, რა იაფი და კარგია შემდეგი საქონელი პირდაპირ ჩვენი ქარხნიდან გამოწერილი ქარხნის ფასებით:

**„ინგლისური ტრიკო"**—მეტად მკვიდრი, პრაქტ. და კოხტა მალის მატერია, რბილი მალის ქსოვილი მოხდენილ და დარბაისლურ კაცის ტანისამოსისათვის, შემდეგ ფერისა: შავი, მუქი და ღია ცის-ფერი, მიხაკის ფერი, ზეთის-ხილის ფერი, ენდროს-ფერი, სადა რუხი ან ლამაზ უჯრიანი, ზოლიანი და წინწკლებიანი, რომელიც მატერიას აძლევს მეხანიშნავ და ლამაზ სახეს. სეზონის უკანასკნელი მატერიები; კაცის მთელი კასტიუმისთვის 4 არშინი და 1 ჩარექი ღირს: 5 მ. 25 კ., საუკეთესო ღირსებისა—6 მ. 50 კ., „პ რ ი მ ა"-ს ხარისხისა—8 მ. 40 კ., „ექსტრა"-ს ხარისხისა—10 მ. 50 კ. და 12 მ. 50 კ. ს უ ლ ა ხ ა ლ ი რ ა მ: მატერია „ბოსფორი" 4 არშინი და 1 ჩარექი—11 მ. და 50 კ., „ექსტრა"—14 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს—უფასოდ მიიღებს სარჩულს.

**ქალებისთვის „ინგლ. კონფექციონი"** ყოველგვარ ფერისა, სადა ან ზოლიანი, წინწკლიანი და უჯრიანი, მეტად პრაქტიკული და კოხტა საქალო კასტიუმებისთვის; ფასი 8 არშინისა (ქალის მთელი კასტიუმისთვის): 4 მ., 5 მ. 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ.

**„ტიროლის ტილო"**—ქალისა და კაცის ნაირ-ნაირი საცვლებისათვის, საუკეთესო თვისებისა, მეტად თეთრი, სქელი და მკვიდრი, სიგანით 20 ვერშოკი; ნაჭერი (24 არშინი) ღირს 5 მ. 50 კ., საუკეთესო თვისებისა 5 მ. და 6 მ. 75 კ.

უზარალოდ ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უბრუნებთ. ჩალაგება და გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფას დადებით გაგზავნაში მანეთზე ემატება 2 კ., წილო ციმბირში—მეტი წონისა. შეკვეთილ საქონელს უმალვე ვგზავნით.

ადრესი: Фабрика Т-ва Суконно-Шерстяной мануфактуры. Г. Лодзь. N 18.

კარგ საქონლისათვის ფირმას ჯილდოები აქვს მიღებული რუსეთისა და საზღვარ გარეთის გამოფენებზე. (3—ფ.—1)

**დაიბეჭდა და დარიგდა საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში**

# ახალი არსენას ლექსი.

ეს გამოცემა შევსებულია მრავალის ახალი ცნობით. დაწვრილებით არის აწერილი არსენას თავგადასავალი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ.

წიგნი დასურათებულია 12 სურათით, გარეთ კანი კი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ოთხი ფერით. წიგნი 32 გვ. და ღირს ორ შაურად. გამყიდავებს %% მორიგებით. ადრესი ტფილისი, სტ. „სორაპანი". (10—ნ.—4)

**ბაფრა** **ხილება**

რადგან დღემდე ჩვენი ეტიკეტების მსგავსი ყალბ ეტიკეტებს ამზადებენ თავიანთ ... ჩვენი ... ფირმის ... და მარკის და ... ჩვენ ... ამ ... პაპიროსებს

„სიმპატიას" 10 ცალი 5 კაპ. № 8 10 ცალი 5 კაპ.

Н. И. Бозарджянцъ съ С-ми.

(10—6აბ.—9)